გარემოსდაცვითი განათლება საქართველოში

ნინო გოხელაშვილი
ელ-ფოსტა: nino.gokhelashvili@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, საქართველო

თანამედროვე მსოფლიოს განვითარების კვალდაკვალ მკვეთრად იზრდება ადამიანის ზემოქმედება გარემოზე, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ჩვენს ბუნებას და გარემომცველ სამყაროს. სწორედ ამიტომ, მსოფლიო მასშტაბით მეტი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვას, რაც მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრების ძალისხმევაში გამოიხატება. სწორედ ამის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას მდგრადი განვითარების კუთხით გარემოსდაცვითი განათლება და ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს; განათლება არის ის მთავარი იარაღი, რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

წარმოდგენილ ნაშრომში, რომელიც მომზადებულ იქნა გარემოსდაცვით განათლებასთან და მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პუბლიკაციების, დოკუმენტებისა და სხვა შესაბამისი წყაროების მიმოხილვისა და ანალიზის საფუძველზე, ძირითადი ნაწილი ეთმობა საქართველოს როლს საერთაშორისო დონეზე, მის მიერ გაწეულ ძალისხმევას და ქვეყანაში არსებულ სიტუაციას გარემოსდაცვითი განათლების სფეროში. ნაშრომში მოცემულია გარემოსდაცვითი განათლების ევოლუციის მოკლე მიმოხილვა და მომზადებულია მისი ანალიზი განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების საფუძველზე, როგორც საქართველოში ისე - მსოფლიო მასშტაბით. ნაშრომში ხაზგასმულია გარემოსდაცვითი განათლების როლის მნიშვნელობაზე გარემოსდაცვითი სფეროს განვითარებასა და ადამიანის ბუნებასთან კომპლექსური თანაცხოვრების საკითხში, და საქართველოს ძალისხმევა აღნიშნული სფეროს განვითარებაში.